



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №12**

ქ. ლანჩხუთი

20. 11. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე (განცხადების №434-ის საფუძველზე), საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (აპარატის უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ორი საკითხი. მან მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მე-10 თვის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 30 ნოემბერი, 11:00 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №16

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება არის ტექნიკური ხასიათის, რომლის მიხედვითაც „გამგეობი“-ს და „გამგებელი“-ს ნაცვლად ჩაიწერება „მერია“ და „მერი“.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“. 3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მე-10 თვის შესრულების შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში ათი თვის მდგომარეობით შესრულებულია 90, 7 %- ით. ზოგადად კი, მიმდინარე წლის 10 ნოემბრისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 100 % არის შესრულებული. აქედან გამომდინარე, არანაირი ვალდებულება არ დარჩენილა და ყველა მიმდინარე ხარჯი დაფარულია.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის განცხადებით, შემოსავლების დინამიკა გაცილებით დიდია, ვიდრე წინა წლებში. მიღებული შემოსავლები პირველად სრულდება 3 მილიონ ლარზე გადაჭარბებით, რაც ძირითადად იმ უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის გადახდით არის განპირობებული, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოებენ სამუშაოებს.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მე-10 თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებით გაწეულ იქნა გარკვეული სამუშაოები, რომელიც მუნიციპალიტეტის სპეციალისტებთან ერთად განხორციელდა თითოეული ა(ა)იპ-ის ჩართულობით, რასაც ამ კუთხით პირველად ქონდა ადგილი. ამ პროცესში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო ექსპერტმა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, მიმდინარე წელი ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით არის საპილოტე. შესაბამის ექსპერტებთან ერთად მსჯელობის შედეგად ყველა პარამეტრის მიხედვით საბოლოოდ ჩამოყალიბდა პროგრამული ბიუჯეტი. მართალია, კანონის მიხედვით პროგრამული ბიუჯეტის მიღება განხორციელდება 2020 წლიდან, თუმცა ჩვენი დეპუტატის თანადგომითა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით საპილოტედ განისაზღვრა ორი მუნიციპალიტეტი, ლანჩხუთი და რუსთავი, სადაც კეთდება 2019 წელს პროგრამული ბიუჯეტი.

ვინაიდან მოსალოდნელია ინფრასტრუქტურულ პროექტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, ბიუჯეტში გათვალისწინებული არ გახლავთ კაპიტალური ხარჯები, რომელთა შეტანაც მოხდება პერიოდულად ცვლილებების სახით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე ყურადღება გაამახვილა გათანაბრებით ტრანსფერზე, რომლის მიზანი იყო განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც ამოღებული იქნება და 2019 წლიდან, თვითმმართველობების ბიუჯეტში ჩაირიცხება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლის 19%. ახალი სისტემით მისაღები შემოსავალი აღარ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს და დამატებით მოტივაციას ქმნის მუნიციპალიტეტისთვის. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულასთან შედარებით განაწილებული დღგ-ის პროგნოზირება მუნიციპალიტეტისთვის უფრო მარტივია და ხელს შეუწყობს საშუალო ვადიანი და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების გაუმჯობესებას.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი სულ შეადგენს 9 955 300 ლარს. ამასთან, წარმოდგენილ პროექტში პრიორიტეტის დოკუმენტი შედარებით დაიხვეწა და გაწერილია რეალურად. წინა წელთან შედარებით ხვედრითი წილი გაიზარდა და ძირითადად მიმართულია სკოლამდელ განათლებასა და დასუფთავების კუთხით. ყველა ხარჯი არის პროგრამულად გაწერილი მისი მახასიათებლებითა და მაჩვენებლებით. რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, სუბსიდიის სახით დაფიქსირებულია ხელფასი და სხვა ხარჯები (საქონელი და მომსახურება).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის 2018 წლის 2 თებერვლის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სსიპ-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტებისათვის კაპიტალური გრანტის სახით ფინანსური რესურსის გადაცემა. ამ განკარგულების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 102719,16 ლარი. მათ შორის: სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისათვის (სოფელ ჭალის კორპუსი) 39810,30 ლარი, სოფელ ნინოშვილის საჯარო სკოლისათვის 62908,86 ლარი. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ნოემბრის N2168 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო

ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, საამშენებლო სამუშაოებზე და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის 300000 ლარი. აღნიშნული ღონისძიებები ბიუჯეტში უნდა აისახოს როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვის ნაწილში.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთლმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა დამატებით გამოეყოს დაფინანსება 15000 ლარის ოდენობით საახალწლო ღონისძიებების დასაფინანსებლად, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის 15000 ლარით ზრდის ხარჯზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა თუ რა ხელშეკრულება გაფორმდა და რა კრიტერიუმის საფუძველზე შეირჩა ეს სკოლები, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს პირველ რიგში დაევალა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. წარდგენილი იქნა რამდენიმე სკოლა, მათ შორის №1 სკოლაც, მაგრამ მითითება მოვიდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან და ინიციატორი მუნიციპალიტეტი ნამდვილად არ ყოფილა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, **გიორგი ფაცურიას** თქმით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან იყო მითითება სკოლებში საპირფარეშოების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი იქნა რამდენიმე სკოლის, მათ შორის №1 საჯარო სკოლის საპროექტო დოკუმენტაცია. საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ აღნიშნული სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტს გამოეყო გარკვეული თანხა. ამასთან, მოვიდა კონკრეტული მითითება, თუ რომელ სკოლებში შეიძლებოდა მისი გამოყენება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:


1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ტაბიძე ბესიკ



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო